პროგრამა "სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო" (პროგრამული კოდი 32 01 05)

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა

სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ განხორციელდა:

- შესყიდულ იქნა 2022-2023 სასწავლო წლის წარჩინებულ მოსწავლეების 5 700 ერთეული ოქროს (მოოქროვილი) და 1 450 ერთეული ვერცხლის (მოვერცხლილი) მედალი და 7 150 ერთეული მედლის ჩასადები ყუთი; 5 684 ერთეული მოოქროვილი და 1 441 მოვერცხლილი მედალოსანთა სერტიფიკატი.
- საანგარიშო პერიოდში, საჯარო სკოლებისთვის მიწოდებულია 1 155 ერთეული ბრაილის შრიფტით ნაბეჭდი და 47 ერთეული რელიეფური სახელმძღვანელო;
- გაციფრულებულია მუსიკის, ქართული როგორც მეორე ენის, ბუნებისმეტყველების დედაენის, ქართული ენა და ლიტერატურის, მათემატიკის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების და საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოები, შექმნილია აპლიკაციისთვის საჭირო ინსტრუქციული ვიდეო რგოლები.
- დასრულებულია I, II, XI კლასის სახელმძღვანელოების რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე თარგმნა/აუთენტურობის დამოწმება; აგრეთვე დასრულებულია, ბილინგვური რესურსების ბეჭდვა თარგმნა/აუთენტურობის დამოწმების მომსახურება.
- შესყიდული იქნა 2024-2025 სასწავლო წლისთვის 2 723 878 ერთეული სახელმძღვანელო და 2 723 878 ერთეული რვეული. საანგარიშო პერიოდში საჯარო სკოლებისთვის მიწოდებულია 2 705 666 ერთეული სახელმძღვანელო და რვეული.
- საანგარიშო პერიოდში შესყიდულია და საჯარო სკოლებისთვის მიწოდებულია 782 ერთეული ბრაილის შრიფტით ნაბეჭდი და 12 ერთეული რელიეფური სახელმძღვანელო;
- 2024 -2025 სასწავლო წლის პირველი სემესტრში განხორციელდა თბილისის 39 საჯარო სკოლის 11 834 მოსწავლის ტრანსპორტირება, ასევე 29 საჯარო სკოლის 480 შშმ და სსსმ სატატუსის მქონე, ეტლით მოსარგებლე მოსწავლის ტრანსპორტირებით მომსახურება;
- დაფინანსებულია მუნიციპალიტეტები, მოსწავლეების ტრანსპორტირების მომსახურების შესყიდვის მიზნით;
- შესყიდულია წარჩინებული მოსწავლეებისთვის გადასაცემი 4 846 ერთეული პორტაბელური კომპიუტერი.
- სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ საანგარიშო პერიოდში 364 საჯარო სკოლა აღიჭურვა 689 პრინტერითა და კარტრიჯით. მათ შორის პროგრამა „საქართველოს ადამიანური კაპიტალის" მიზნების (Human Capital Program) (N4.1 (განათლება)) ფარგლებში გადაცემულია 540 ერთეული პრინტერი და კარტრიჯი.
- საანგარიშო პერიოდში შესყიდული იქნა 460 საჯარო სკოლისთვის 15 654 ერთეული პორტაბელური კომპიუტერი. ამასთან, საანგარიშო პერიოდში 345 საჯარო სკოლას მიეწოდა 14 495 ერთეული პორტაბელური კომპიუტერი. მათ შორის პროგრამა „საქართველოს ადამიანური კაპიტალის" მიზნების (Human Capital Program) (N4.1 (განათლება)) ფარგლებში გადაცემულია 12 740 ერთეული პორტაბელური კომპიუტერი.
- გაფორმებულია ხელშეკრულება საჯარო სკოლების პროგრამა „საქართველოს ადამიანური კაპიტალის" მიზნების პროექტის ფარგლებში და ავტორიზებული საჯარო სკოლებისათვის გადასაცემად პროექტორების შესყიდვის მიზნით;
- სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს 45 საჯარო სკოლაში, საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმებისა და მშენებლობის წინა მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობს 33 საჯარო სკოლაში;
- სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა 31 საჯარო სკოლაში და მიმდინარეობდა 62 საჯარო სკოლაში; ნაწილობრივი სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა 41 საჯარო სკოლაში;
- 110 საჯარო სკოლაში დასრულდა სამუშაოები მზაობის კლასების მოწყობის მიზნით;

- შესყიდული 68 335 მერხების და სკამების კომპლექტიდან საანგარიშო პერიოდში 338 საჯარო სკოლისთვის გადაცემულია 8 905 ერთეული მერხიდა და სკამის კომპლექტი;
- 693 საჯარო სკოლა აღიჭურვა სამედიცინო ავეჯით; გაფორმებულია ხელშეკრულება საჯარო სკოლების სამედიცინო კაბინეტისა და სამედიცინო პუნქტების აღჭურვის მიზნით;
- საანგარიშო პერიოდში 401 საჯარო სკოლას გადაეცა 18 905 ერთეული მერხისა და სკამის კომპლექტი. ასევე, 693 საჯარო სკოლა აღიჭურვა სამედიცინო ავეჯით. 62 საჯარო სკოლა აღიჭურვა 34 ერთეული სამედიცინო კაბინეტის და 28 ერთეული სამედიცინო პუნქტის ინვენტარით;
- საანგარიშო პერიოდში 84 საჯარო სკოლა აღიჭურვა 956 ერთეული სტანდარტული პერსონალური კომპიუტერის კომპლექტით;
- საანგარიშო პერიოდში 94 საჯარო სკოლა აღიჭურვა 159 ერთეული პრინტერით და კარტრიჯით.
- 185 საჯარო სკოლა აღიჭურვა 1 505 ერთეული დაფით;
- საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სსიპ ქალაქ თბილისის N147 საჯარო სკოლის აღჭურვა 69 ერთეული კონდინციონერით;განხორციელდა სსიპ - ქალაქ თბილისის N114 და სსიპ - ტიციან ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის N43 საჯარო სკოლების მშენებლობის შემდგომი დასუფთავების მომსახურება;
- საანგარიშო პერიოდში 21 საჯარო სკოლაში (საგამოცდო ცენტრი) განხორციელდა გაგრილების სისტემის (კონდინციონერების) ექსპლუატაციისას გამოვლენილი დაზიანებების შეკეთების მომსახურება;
- გაფორმებულია ხელშეკრულება აღმოსავლეთ პარტნიორობის ევროპული სკოლისთვის ვერტიკალური ფარდა-ჟალუზებით აღჭურვის მიზნით;
- შესყიდულია სპორტული დარბაზის ინვენტარი აღმოსავლეთ პარტნიორობის ევროპული სკოლისთვის; ასევე გამოცხადებულია ტენდერები აღმოსავლეთ პარტნიორობის ევროპული სკოლისთვის მერხების, სკამების და სხვადასხვა აღჭურვილობის შესყიდვის მიზნით;
- 305 საჯარო სკოლა დაფინანსდა ნაწილობრივ სარეაბილიტაციო, ინვენტარით აღჭურვის, სხვადასხვა მომსახურების და ტექნიკური მდგრადობის განსაზღვრის მიზნით;
- საჯარო სკოლებში პროფესიული პროგრამის დანერგვის პროექტის ფარგლებში დასრულებულია 20 საჯარო სკოლის სასწავლო ოთახების სარეაბილიტაციო სამუშაოები.
- მიმდინარეობდა 4 პროფესიული სასწავლებლის (ბორჯომისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტში ახალი პროფესიული სასწავლებლების, სსიპ - კოლეჯის „ბლექსი“ და გურჯაანის კულინარიული კოლეჯის) სამშენებლო სამუშაოები;
- მიმდინარეობდა სსიპ - კოლეჯის „პრესტიჟი“ ტერიტორიაზე ახალი სასწავლო-სახელოსნო კორპუსის სამშენებლო საპროექტო/ სამუშაოები;
- საანგარიშო პერიოდში აღიჭურვა 3 პროფესიული სასწავლებელი 420 კომპლექტი სასკოლო მერხითა და სკამით.
- საქართველოს მასშტაბით საჯარო სკოლებში პროფესიული პროგრამის დანერგვის პროექტის ფარგლებში 20 საჯარო სკოლა აღჭურვილია 6 პროფესიული პროგრამის განხორციელებისთვის შესაბამისი ინვენტარითა და ტექნიკით.
- დასრულდა 2 სამინისტროს და მის სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- დასრულებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს N2 შენობის რესტავრაცია-რეაბილიტაციის დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოები;
- დაფინანსდა სსიპ - საგანმანათლებლო კვლევების ეროვნული ცენტრი კომპიუტერული ტექნიკით, პრინტერებით, ავეჯითა და ფარდა-ჟალუზების შესყიდვის მიზნით;
- დაფინანსდა სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის, ქუთაისის კამპუსის სრული სარეაბილიტაციო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით.
- დასრულდა 2 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ნაწილობრივი სარეაბილიტაციო სამუშაოები;

- დასრულდა 1 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საპროექტო და 1 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამშენებლო სამუშაოები;
- დასრულდა 1 კვლევითი ცენტრის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის და 1 კვლევითი ცენტრის ღობის და აუზის მოწყობის სამუშაოები; ასევე საანგარიშო პერიოდში გაფორმებულია ხელშეკრულება 1 კვლევითი ცენტრის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის მიზნით;
- საანგარიშო პერიოდში მიმდინარე პროექტებზე ხორციელდებოდა საზედამხედველო და სამშენებლო მონიტორინგის ღონისძიებები.

პროგრამა წარმატებულ მოსწავლეთა წახალისება (პროგრამული კოდი 32 02 04 04)

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა

- 2021-2022 წლის წარჩინებულ მოსწავლეებს გადაეცა ოქროსა და ვერცხლის მედლები (ოქრო - 5 254 და ვერცხლი - 1 453);
- შესყიდულ იქნა 2022-2023 სასწავლო წლის ოქროსა და ვერცხლის მედალოსანთა სერტიფიკატები;

მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 32 02 06)

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა

- საჯარო სკოლებს გადაეცა 1 937 ერთეული ბრაილის შრიფტით ნაბეჭდი და 59 ერთეული რელიეფური სახელმძღვანელო;
- გაციფრულებულია მუსიკის, ქართული როგორც მეორე ენის, ბუნებისმეტყველების დედაენის, ქართული ენა და ლიტერატურის, მათემატიკის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების და საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოები, შექმნილია აპლიკაციისთვის საჭირო ინსტრუქციული ვიდეო რგოლები. დასრულებულია I, II, XI კლასის სახელმძღვანელოების რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე თარგმნა/აუთენტურობის დამოწმება და ბილინგვური რესურსების ბეჭდვა თარგმნა/აუთენტურობის დამოწმების მომსახურება;
- შესყიდული იქნა 2024-2025 სასწავლო წლისთვის 2 723 878 ერთეული სახელმძღვანელო და ამდენივე რვეული, საიდანაც საჯარო სკოლებისთვის მიწოდებულია 2 705 666 ერთეული. დაკაბადონებულია 6 სასწავლო საგნის 8 ფაილი;
- გაფორმებულია ხელშეკრულებები 12 კლასის ახალი გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებისათვის გამოყოფილი ჰონორარის ანაზღაურების მიზნით;
- გაფორმებულია ხელშეკრულება გრიფირებული სახელმძღვანელოების აუდიო ვერსიების მომზადების მომსახურების შესყიდვაზე.
- დაბეჭდილია 3 000 ერთეული „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტი“-ს პოსტერის ვერსია.

საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 32 02 10)

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა

- 2023 -2024 სასწავლო წლის მეორე სემესტრში განხორციელდა თბილისის 38 საჯარო სკოლის 11 115 მოსწავლის ტრანსპორტირება, ასევე 25 საჯარო სკოლის 402 შშმ და სსსმ სატატუსის მქონე, ეტლით მოსარგებლე მოსწავლის ტრანსპორტირებით მომსახურება;
- 2024-2025 სასწავლო წლის პირველი სემესტრში შესყიდულ იქნა თბილისის 39 საჯარო სკოლის 11 834 მოსწავლის ტრანსპორტირება, ასევე 29 საჯარო სკოლის 480 შშმ და სსსმ სატატუსის მქონე, ეტლით მოსარგებლე მოსწავლის ტრანსპორტირებით მომსახურება;

- დაფინანსდა 56 მუნიციპალიტეტი 1 141 საჯარო სკოლის 75 491 მოსწავლის ტრანსპორტირების მომსახურების შესყიდვის მიზნით.

პროგრამა „ჩემი პირველი კომპიუტერი'' (პროგრამული კოდი 32 02 11)

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა

- პროგრამის „ჩემი პირველი კომპიუტერი'' ფარგლებში 2024-2025 სასწავლო წლის პირველკლასელებისა და მათი დამრიგებლებისთვის შესყიდული 58 000 ერთეული პორტაბელური კომპიუტერის/ბუქის ხარჯების დაფინანსების მიზნით მიმართული იქნა 49.6 მლნ ლარი (2023 წელს მიმართულ იქნა 10.0 მლნ ლარი);
- შესყიდულია წარჩინებული მოსწავლეებისთვის გადასაცემი 4 846 ერთეული პორტაბელური კომპიუტერი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფორმაციულ - საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 32 02 14)

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა

- სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაფორმებულია ხელშეკრულება საჯარო სკოლებში ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის განთავსების მიზნით საპროექტო მომსახურების თაობაზე (ჯამური ღირებულებით 500.0 ათასი ლარი), ამასთან საანგარიშო პერიოდში, საპროექტო სამუშაოები შესრულდა 60 საჯარო სკოლაში;
- სააგენტოს მიერ გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს 816 ერთეული A4 ფორმატის მრავალფუნქციური შავ-თეთრი ლაზერული პრინტერისა და კარტრიჯის შესყიდვას (ჯამური ღირებულებით 1.1 მლნ ლარი) და საანგარიშო პერიოდში 364 საჯარო სკოლისათვის მიწოდებულია 689 პრინტერი და კარტრიჯი;
  მათ შორის, პროგრამა „საქართველოს ადამიანური კაპიტალის" მიზნების (Human Capital Program) (N4.1 (განათლება)) ფარგლებში 280 საჯარო სკოლას გადაეცა 540 – 540 ერთეული პრინტერი და კარტრიჯი (ჯამური ღირებულებით 724,14 ათასი ლარი);
- 397 საჯარო სკოლისთვის გადაცემულია 13 702 ერთეული პორტაბელური კომპიუტერი (ჯამური ღირებულებით 19.8 მლნ ლარი, მათ შორის 2023 წელს მიიმართა - 13.7 მლნ ლარი, 2024 წელს - 6.1 მლნ ლარი);
  მათ შორის პროგრამა „საქართველოს ადამიანური კაპიტალის" მიზნების (Human Capital Program) (N4.1 (განათლება)) ფარგლებში 280 საჯარო სკოლას გადაეცა 3 242 ერთეული პორტაბელური კომპიუტერი (ჯამური ღირებულებით 4.7 მლნ ლარი);
- საანგარიშო პერიოდში შესყიდული იქნა 460 საჯარო სკოლისთვის 15 654 ერთეული პორტაბელური კომპიუტერი (ჯამური ღირებულებით 24.8 მლნ ლარი). ამასთან, საანგარიშო პერიოდში 345 საჯარო სკოლას მიეწოდა 14 495 ერთეული პორტაბელური კომპიუტერი
  მათ შორის პროგრამა „საქართველოს ადამიანური კაპიტალის" მიზნების (Human Capital Program) (N4.1 (განათლება)) ფარგლებში 280 საჯარო სკოლას გადაეცა 12 740 ერთეული პორტაბელური კომპიუტერი (ჯამური ღირებულებით 20.2 მლნ ლარი);
- გაფორმებულია ხელშეკრულება პროგრამის „საქართველოს ადამიანური კაპიტალის" (Human Capital Program) (N4.1 (განათლება)) ფარგლებში არსებული საჯარო სკოლებისა და სხვა ავტორიზებული საჯარო სკოლებისათვის გადასაცემად პროექტორების შესყიდვის მიზნით (1 899 ცალი პროექტორი) ღირებულებით 1.548 მლნ ლარი. ხარჯების ანაზღაურების მიზნით საანგარიშო პერიოდში მამართული იქნა - 832.06 ათასი ლარი.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა

- მიმდინარეობდა 5 საჯარო სკოლის სამშენებლო სამუშაოები (სსიპ - ქალაქ თბილისის აღმოსავლეთ პარტნიორობის ევროპული საჯარო სკოლა, სსიპ - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ოზაანის საჯარო სკოლა, სსიპ - სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაბაკევში მდებარე მიწის ნაკვეთზე ახალი სკოლის მშენებლობის სამუშაოები, სსიპ - ქალაქ გორის N11 საჯარო სკოლა, სსიპ - ქალაქ თბილისის N10 საჯარო სკოლა);
- დასრულდა 4 საჯარო სკოლის სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები (სსიპ - ქალაქ თბილისის N160 საჯარო სკოლა, სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჯვრისხევის საჯარო სკოლა, სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ბერშუეთის საჯარო სკოლა, სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლა);
- მიმდინარეობდა სსიპ - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ თბილისის N23 საჯარო სკოლის სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები და სსიპ - ქალაქ თელავის N1 საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- დასრულდა 41 საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები (სსიპ - ქალაქ თბილისის N69 საჯარო სკოლა, სსიპ - ქალაქ თბილისის N149 საჯარო სკოლა, სსიპ - მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ შაუმიანის N1 საჯარო სკოლა, სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელი ჩიხას საჯარო სკოლა, სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ რუხის საჯარო სკოლა, სსიპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ შუხუთის საჯარო სკოლა, სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლა, სსიპ - გიორგი მებონიას სახელობის წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ობუჯის თემის N1 საჯარო სკოლა, სსიპ - ქალაქ ფოთის N6 საჯარო სკოლა, სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შრომის საჯარო სკოლა, სსიპ - აკაკი სურგულაძის სახელობის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შემოქმედის საჯარო სკოლა, სსიპ - ქალაქ გურჯაანის N3 საჯარო სკოლა, სსიპ - ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ოჟიოს საჯარო სკოლა, სსიპ - ნიკოლოზ მუსხელიშვილის სახელობის ქალაქ თელავის N3 საჯარო სკოლა, სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ბრეძის საჯარო სკოლა, სსიპ - დიმიტრი ყიფიანის სახელობის ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიშხეთის საჯარო სკოლა, სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ კლდეეთის საჯარო სკოლა, სსიპ - ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ კოჩიოს საჯარო სკოლა, სსიპ - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ წინწყაროს საჯარო სკოლა, სსიპ - ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუამთას საჯარო სკოლა, სსიპ - ქალაქ ჭიათურის N4 საჯარო სკოლა, სსიპ - ქალაქ ბორჯომის N4 საჯარო სკოლა, სსიპ - ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა წაღვერის საჯარო სკოლა, სსიპ - ქალაქ წალენჯიხის N2 საჯარო სკოლა; სსიპ - ქალაქ თბილისის N26 საჯარო სკოლა; სსიპ - ქალაქ თბილისის N31 საჯარო სკოლა; სსიპ - ქალაქ თბილისის N49 საჯარო სკოლა; სსიპ - ქალაქ თბილისის N126 საჯარო სკოლა; სსიპ - ქალაქ თბილისის N190 საჯარო სკოლა; სსიპ - ქალაქ თბილისის N213 საჯარო სკოლა; სსიპ - ქალაქ თბილისის N214 საჯარო სკოლა; სსიპ - ქალაქ ხაშურის N7 საჯარო სკოლა; სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ნასაკირალის საჯარო სკოლა; სსიპ - ქალაქ თბილისის N82 საჯარო სკოლა; სსიპ - ქალაქ თბილისის N21 საჯარო სკოლა; სსიპ - სოფიკო ჭიაურელის სახელობის ქალაქ თბილისის N54 საჯარო სკოლა; სსიპ - ქალაქ თბილისის N90 საჯარო სკოლა; სსიპ - ქალაქ თბილისის N122 საჯარო სკოლა; სსიპ - ქალაქ თბილისის N143 საჯარო სკოლა; სსიპ - ქალაქ თბილისის N210 საჯარო სკოლა; სსიპ - ვახტანგ ფირცხალავას სახელობის ქალაქ ჩხოროწყუს N2 საჯარო სკოლა);
- 110 საჯარო სკოლაში დასრულდა სამუშაოები სასკოლო მზაობის კლასების მოწყობის მიზნით;

- საქართველოს რეგიონებში დიზაინ ბილდის კონცეფციით 73 საჯარო სკოლის მშენებლობის მიზნით გაფორმებული ხელშეკრულებებიდან 40 საჯარო სკოლაში მიმდინარეობდა სამშენებლო სამუშაოები, ხოლო 33 სკოლაში - საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმების სამუშაოები. ასევე, საქართველოს რეგიონებში დიზაინ ბილდის კონცეფციის შესაბამისად სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა 27 საჯარო სკოლაში და მიმდინარეობდა 61 საჯარო სკოლაში;
- საანგარიშო პერიოდში 401 საჯარო სკოლას გადაეცა 18 905 ერთეული მერხისა და სკამის კომპლექტი. ასევე, 693 საჯარო სკოლა აღიჭურვა სამედიცინო ავეჯით, 62 საჯარო სკოლა აღიჭურვა 34 ერთეული სამედიცინო კაბინეტის და 28 ერთეული სამედიცინო პუნქტის ინვენტარით;საანგარიშო პერიოდში 84 საჯარო სკოლა აღიჭურვა 956 ერთეული სტანდარტული პერსონალური კომპიუტერის კომპლექტით; 94 საჯარო სკოლა - 159 ერთეული პრინტერით და კარტრიჯით, 185 საჯარო სკოლა - 1 505 ერთეული დაფით;
- საანგარიშო პერიოდში სსიპ - ქალაქ თბილისის N147 საჯარო სკოლა აღიჭურვა 69 ერთეული კონდინციონერით და განხორციელდა სსიპ - ქალაქ თბილისის N114 და სსიპ - ტიციან ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის N43 საჯარო სკოლების მშენებლობის შემდგომი დასუფთავების მომსახურება;
- საანგარიშო პერიოდში 21 საჯარო სკოლაში (საგამოცდო ცენტრი) განხორციელდა გაგრილების სისტემის (კონდინციონერების) ექსპლუატაციისას გამოვლენილი დაზიანებების შეკეთების მომსახურება;
- საანგარიშო პერიოდში აღმოსავლეთ პარტნიორობის ევროპული სკოლისთვის შეძენილია სპორტული დარბაზის ინვენტარი;
- დაფინანსდა 204 საჯარო სკოლა ნაწილობრივ სარეაბილიტაციო და ინვენტარით აღჭურვის მიზნით. 101 საჯარო სკოლა დაფინანსდა სხვადასხვა მომსახურების შესყიდვისა და სკოლის შენობის ტექნიკური მდგრადობისა და მის შესაბამისად ექსპლუატაციის უსაფრთხოების განსაზღვრის მიზნით.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 32 07 02)

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა

- საჯარო სკოლებში პროფესიული პროგრამის დანერგვის პროექტის ფარგლებში დასრულებულია 20 საჯარო სკოლის სასწავლო ოთახების სარეაბილიტაციო სამუშაოები და აღიჭურვა 6 პროფესიული პროგრამის განხორციელებისთვის შესაბამისი ინვენტარითა და ტექნიკით;
- მიმდინარეობდა 4 პროფესიული სასწავლებლის (ბორჯომისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტში ახალი პროფესიული სასწავლებლების, სსიპ - კოლეჯის „ბლექსი“ და გურჯაანის კულინარიული კოლეჯის) სამშენებლო სამუშაოები;
- მიმდინარეობდა სსიპ - კოლეჯის „პრესტიჟი“ ტერიტორიაზე ახალი სასწავლო-სახელოსნო კორპუსის სამშენებლო საპროექტო/ სამუშაოები;
- საანგარიშო პერიოდში აღიჭურვა 3 პროფესიული სასწავლებელი 420 კომპლექტი სასკოლო მერხითა და სკამით.

სამინისტროს და მის სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და ტერიტორიული ორგანოების ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 32 07 03)

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა

- დასრულდა სსიპ - საგანმანათლებლო კვლევების ეროვნული ცენტრის გათბობის სისტემისა და ქალაქ ზესტაფონის რესურსცენტრის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- დასრულდა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს N2 შენობის რესტავრაცია-რეაბილიტაციის დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოები;
- შესყიდულია და სამინისტროსთვის გადაცემულია 4 ერთეული მსუბუქი სატრანსპორტო საშუალება;
- საანგარიშო პერიოდში 46 საგანმანათლებლო რესურცენტრი აღიჭურვა 135 ერთეული სტანდარტული პერსონალური კომპიუტერის კომპლექტით;
- მიმდინარეობდა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს შენობის ნაწილობრივი სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- დაფინანსებული იქნა სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა, ქუთაისის კამპუსის სრული სარეაბილიტაციო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების, ასევე, სსიპ - საგანმანათლებლო კვლევების ეროვნული ცენტრი, კომპიუტერული ტექნიკის, პრინტერების, ავეჯისა და ფარდა-ჟალუზების შესყიდვის მიზნით.

უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 32 07 04)

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა

- დასრულდა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვლადიმერ ჭავჭანიძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტის შენობის ხანძრის შედეგების დაზიანებული ნაწილის ნაწილობრივი სარეაბილიტაციო სამუშაოები და სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი სასწავლო კორპუსის მეორე სართულის შენობის ნაწილობრივი სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- დასრულდა სსიპ - კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დამატებითი კორპუსის საპროექტო სამუშაოები;
- მიმდინარეობდა სსიპ - ქალაქ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსის ეზოში ახალი ბიბლიოთეკის სამშენებლო სამუშაოები;
- დასრულდა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის ვივარიუმისა და გერენტოლოგიის შენობების რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის, ასევე დაბა აბასთუმანში, სსიპ-საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის ღობის და აუზის მოწყობის სამუშაოები;
- მიმდინარეობდა სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის „აზტ-11" შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

საჯარო სკოლების ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის სისტემის განვითარება (პროგრამული კოდი 32 07 05)

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა

- საანგარიშო პერიოდში ათასწლეულის გამოწვევის ფონდის მიერ რეაბილიტირებულ 49 საჯარო სკოლაში განხორციელდა არსებული ბიოლოგიური გამწმენდი დანადგარების ერთჯერადი მომსახურება;
- 84 საჯარო სკოლა უზრუნველყოფილი იქნა 346.78 ტონა საწვავი ბრიკეტით, ასევე 62 საჯარო სკოლა დაფინანსდა საწვავი ბრიკეტების შესყიდვის მიზნით;
- საანგარიშო პერიოდში ათასწლეულის გამოწვევის კომპაქტის ფარგლებში პირველი, მეორე, მესამე და მეექვსე ფაზით დასრულებულია 13 საჯარო სკოლა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა

- საანგარიშო პერიოდში პროგრამის „პროფესიული განათლება I (KfW)“ ფარგლებში გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KfW) მიერ დაფინანსებული პროექტის „TVET Program I“-ის ფარგლებში გამოცხადდა საერთაშორისო ტენდერი „ექსელენს ცენტრის“ სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის მიზნით, საკვალიფიკაციო შერჩევა გაიარა ორმა კომპანიამ და წარმოდგენილი სატენდერო წინადადებების შეფასების პროცესის დადებითად დასრულების შემთხვევაში გაფორმდება ხელშეკრულება გამარჯვებულ პრეტენდენტთან.